საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7428/01
16/07/2021

7428-01-2-202107161607

**სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“**
**მის:** თბილისი. ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა N19

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 12 ივლისის N12206 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ჩოლურის“ რეკონსტრუქციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დაზუსტებას საჭიროებს ახალი საყრდენი ანძების განთავსების GPS კოორდინატები; ამასთან, მიზანშეწონილია საპროექტო Shp ფაილებში წარმოდგენილი იყოს არსებული ეგხ-ის და საპროექტო ცვლილების მონაკვეთები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს საპროექტო დერეფნის აეროთანამგზავრული მონაცემები (სქემატური ნახაზი; ექსპლიკაცია), სადაც მითითებული იქნება, როგორც არსებული, ისე პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ეგხ-ის და საყრდენი ანძების ადგილმდებარეობა;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ეგხ-ის ბუფერის შესახებ. მათ შორის ინფორმაცია ბუფერში მოხვედრილი კერძო მესაკუთრეების, ინფრასტრუქტურული ობიექტების შესახებ (არსებობის შემთხვევაში შესაბამისი ტექნიკური გადაწყვეტებით);
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საპროექტო ეგხ-ის დაცვის ზონების და მათი აღმნიშვნელი შესაბამისი ნიშნების შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს უახლოეს მოსახლემდე მანძილის შესახებ ინფორმაცია;
- დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ორნითოფაუნაზე ზემოქმედების შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს ახალი საყრდენი ანძების მოწყობით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე, ასევე მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე. ამასთან, მიზანშეწონილია მოცემული იყოს ინფორმაცია ახალი საყრდენების მოწყობის პროცესში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის და ფუჭი ქანების მართვის საკითხების შესახებ;
- საპროექტო ეგხ-ის მდებარეობის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია დაზუსტდეს ზედაპირული წყლის ობიექტთან ყველაზე ახლოს მდებარე არსებული ან

საპროექტო საყრდენის სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოებით მოსალოდნელი ზემოქმედება წყლის გარემოზე;

- მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკის შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საპროექტო ბუფერის ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები, თავსებადობის შესახებ;

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების/საკითხების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე